

საქართველოს კათოლიკთა
ყოველთვიური განცხა

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

N1 (325) | 2023


საბა

ეკიმურავთ
შეძენ-ახალნერებ!

ამჟღა გამოიცა გამოცხადი

30 წელი
სამოციქულო
აღმინისტრაცია

იუნი



ეპისკოპოსის მილოცვა	3
კათოლიკი ეკლესია მსოფლიოში.....	4-5
ჩვენი ეკლესია	6-8
იუბილე	9
საბაუნის ეროვნიკები	10
ჩანართი: სამოციქულო ადმინისტრაციის 30	
წლისთავი.....I-IV	
კათოლიკური კულტურის..	
..... 11	
ერისთავის თანამედროვე მოწევი.....	12
ეკულინური მვერდი....	13-15
სოციალური მვერდი - Iner Georgia	16
სოციალური მვერდი - Caritas Georgia	
საბავშვო მვერდი.....	18
ინფორმაცია.....	19

- 1** იანვარი - ღვთისმშობლობა, მშვიდობისათვის ღოცვის
მსოფლიო დღე
- 6** იანვარი - ღვთის გაცხადება
- 8** იანვარი - უფლის ნათლისღება
- 13** იანვარი - იეზუიტ მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება
(+2016)
- 18** იანვარი - ქრისტიანთა ერთობისათვის ღოცვის
რვადღეულის დასაწყისი
- 20** იანვარი - ერთობლივი ღოცვა ქრისტიანთა
ერთობისათვის წმ. წამებულის მარ შიმონ ბარ საბაეს
ასირიულ-ქალდეულ კათოლიკურ ტაძარში (მის.: ალ.
ყაბბეგის გამზირი 34, თბილისი)
- 22** იანვარი - რიგითი მე-3 კვირადღე ღვთის სიტყვისა
- 23** იანვარი - ყოვლადწმიდა მარიამისა და წმიდა იოსების
ქორწინება
- 25** იანვარი - წმ. პავლეს მოქცევა, ქრისტიანთა
ერთობისათვის ღოცვის რვადღეულის დასასრული,
არალში მეშურნეთის ეკლესიის დღეობა
- 27** იანვარი - წმ. ნინო, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის
მფარველი, წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი,
დღესასწაული
- 29** იანვარი-4 თებერვალი - ბიბლიური კვირა წეროვანში
- 31** იანვარი - წმ. იოანე ბოსკო, სალელ მამათა და დედათა
კონგრეგაციების დამაარსებელი



LISTEN TO GEORGIAN CONCERT IN
SISTINE CHAPEL

მოუსმინეთ ქართულ კონცერტს
სიქსტეს კაპელაში



ეპისკოპოსის მილოცვა



„...მშვიდობა ევეყნად ადამიანებს!“

ძვირფასო დანო და ძმანო,

ყოველ კვირადღესა და დღესასწაულზე წირვის შესავალი წესი სრულდება საგალობლით — „დიდება მაღალთა შინა“, იმ საზეიმო სადიდებლით, რომლითაც ვერთვებით ანგელოზთა გალობაში და რომელიც სიხარულით გვავსებს, გაოგნებულებს ღვთისაგან ჩვენთვის გამზადებული ხსნის გამო. ჩვენი ფიქრები ამ დროს შობის ღამეს დასტრიალებს. „Gloria in excelsis Deo, et in terra pax hominibus bonae voluntatis. Laudamus te, benedicimus te, adoramus te, glorificamus te.“

ანგელოზთა სიტყვებთან ერთად ბეთლემში იშლება ღვთის დიდების კალთა ზეცაში. შუქი, რომელიც ბეთლემიდან იღვრება მთელ ჟამთასვლაზე, ბრწყინავს ამ საგალობელშიც და იმ გაოგნებაშიც, მთელი ქმნილება რომ განიცდის - სამყარო შესცეკრის ჩვილ ღმერთს. ზეცა გადმოხრილა დედამიწისაკენ, რათა ადამიანებს გაუხსნას გზა მიწიდან ზეცისკენ. ჩვენს წინაშეა გასაოცარი ხიდი, რათა ადამიანები შეუდგნენ მას და შევიდნენ ზეციურ დიდებაში. „ვაჟი შეგვეძინა ჩვენ, ძე მოგვეცა; იქნება მთავრობა მის მხრებზე და უწოდებენ მას სახელად: საკვირველ მრჩეველს, ძლიერ ღმერთს, საუკუნო მამას, მთავარს მშვიდობისა“ (ეს. 9,6).

ამ ღამით ანგელოზები ზეცას ფარდასავით გადასწევენ და გვილოცავენ: „გილოცავთ დიდებას! გილოცავთ შობას!“. ესაა შობა, სახარების დაბადება! მოხმობა შერიგებისკენ, როგორც გვეუბნება პავლე მოციქული: „ის (ქრისტე) არის ჩვენი მშვიდობა, რომელმაც ორი ერთად აქცია და დაანგრია მათ შუა მდგარი ზღუდე, გააუქმა მტრობა თავისი ხორცით...“ (ეფეს. 2,14), და გამოგვიწოდა ყველას შერიგების მსახურება. ესაა ანგელოზთა სალმის აზრი შობა ღამეს.

„მშვიდობა ქვეყნად ადამიანებს“ — დაიბადა განსახიერებული მშვიდობა, ის მშვიდობა, რომელსაც შეძლებს სამუდამოდ დაეუფლოს მხოლოდ იგი, ვინც ცდილობს მცირე ძალისხმევით მაინც უპასუხოს ღვთის სიყვარულს. წელს ჩვილის წინაშე, ანგელოზთა გალობასთან თანხმობით, დაე, ამგვარად უღერდეს ჩვენი ლოცვა: „მშვიდობა ქვეყნად ადამიანებს“.

გილოცავთ შობას!

+ ეპისკოპოსი ჭავახავა პაზომიო
ლაპიძე კათოლიკოსი კავკასიის
სამოციქულო ადმინისტრაციი

„იესოსთან შესახვედრად ბეთლემის ბოსტონში უდიდე შევიდეთ“



3 დეკემბერს წმიდა პეტრეს მოედანზე საშობაო ნაძვის ხე აღიმართა. ამ ტრადიციას 1982 წელს დასაბამი დაუდო უწმიდესმა პაპმა იოანე პავლე მეორემ. ამჯერად ნაძვი აბრუცოს ოლქიდან ჩამოიტანეს და მისი სიმაღლე 30 მეტრია. ბაგა ფრიული-ვენეცია-ჯულიას ოსტატებმა დაამზადეს. 116 კვ./მ.-ზე განლაგებული კომპოზიცია ხისგანაა დამზადებული და ნატურალური ზომის თვრამეტ ფიგურას წარმოგვიდგენს. ტრადიციისამებს, ყრმა იესოს ბაგა შობამდე, 25 დეკემბრამდე ცარიელი რჩება. „იესოსთან შესახვედრად ბეთლემის ბოსელში უნდა შევიდეთ. ბაგის სისადავე შობის ჭეშმარიტ სიმდიდრეს გვიცხადებს. მასში არაფერია კომერციული, მასში არ არის მომხმარებლობა, არ არის ამაოება. ბოსლის სიმშვიდეში ყრმა იესოს ვუმზერთ და ღმერთს ვუახლოვდებით. ლოცვა საუკეთესო საშუალებაა, მადლობა ვუთხრათ იესოს, რომელსაც ჩვენს სახლებში და ჩვენს გულებში შემოსვლა სურს“, - აღნიშნა უწმიდესმა ფრანცისკემ. ნაძვის ხე და ბაგა წმიდა პეტრეს მოედანს 2023 წლის 8 იანვრამდე, იესოს ნათლისღების დღესასწაულამდე დაამშვენებს.

იოზეფ რაცინგერის პრემიის 2022 წლის ლაურეატები

1 დეკემბერს უწმიდესმა ფრანცისკემ იოზეფ რაცინგერის საპატიო პრემია ორ მეცნიერს - ფრანგ ლვისმეტყველს, მამა მიშელ ფედუს და პროფესორ ჯოზეფ ჰალევი პოროვიც ვეილერს გადასცა. ჯოზეფ ვეილერი რაცინგერის პრემიის პირველი იუდეველი ლაურეატია. აქამდე ჯილდო

მხოლოდ ქრისტიან მეცნიერებს ენიჭებოდათ. „მამა მიშელ ფედუმ მთელი ცხოვრება მიუძღვნა წმიდა მამათა მემკვიდრეობის შესწავლას. მისი ნააზრევი რწმენის ტრადიციის ცოდნითაა გაჯერებული. სწორედ ეს ცოდნა აძლევს მას ეკუმენიზმისა და რელიგიათა შორის ურთიერთობების აქტუალური საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას. იგი ფრანგული ლვისმეტყველების ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია. პროფესორ ვეილერის სალვოსმეტყველო ლვანლის მიზანი ქრისტიანთა და იუდეველთა შორის დიალოგის შემდგომი განვითარებაა. მისი შრომა და თამამი პოზიცია იმის სანინდარია, რომ ქრისტიანები და იუდეველები დაძლევენ არსებულ უთანხმოებებს და მიაღწევენ კონსენსუსს ფუნდამენტურ საკითხებში“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა დაჯილდოების ცერემონიაზე.

დეკემბერი - მოხალისებისთვის ლოცვის თვე



საგანგებო ვიდეომიმართვაში უწმიდესმა ფრანცისკემ მორწმუნებს მოხალისეთა ორგანიზაციებისთვის ლოცვისკენ მოუწოდა: „მსოფლიოს სჭირდება მოხალისები და ორგანიზაციები, რომლებიც საყოველთაო სიკეთისთვის იღვნიან. მოხალისეობა არჩევანია, რომელიც ეგოიზმისგან გვათავისუფლებს; მოხალისეობა გულმოწყალების ხელოვნებაა. მოხალისეთა ორგანიზაციების საქმიანობა უფრო ეფექტურია, როცა ისინი ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან თანამშრომლობენ. შეიძლება მათი რესურსები შეზღუდული იყოს, მაგრამ ერთობლივი ღვაწლით, შეთანხმებული მუშაობით, მათ სასწაულის მოხდენა და იმედის გამრავლება შეუძლიათ. ჩვენ კი ძალიან გვჭირდება იმედის გამრავლება. ვილოცოთ იმისთვის, რომ მოხალისეთა და



ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა მუდამ შეძლონ პოვნა ისეთი ადამიანებისა, რომლებიც მზად არიან საყოველთაო სიკეთის მსახურებისათვის“.


ლი გულით მწამს ღმერთი და სიყვარულის გზა-ვნილები, რომლებსაც მსოფლიოს ყველა კუთხი-დან ვიღებ, ენერგიას მმატებს“, - დაწერა პელებ თავის Instagram გვერდზე.

„მახდით მავიდობის მმოსნები“

28 ნოემბერს უწმიდესი ფრანცისკე „მშვი-
დობისთვის ზრუნვის“ პროგრამის მონაწილე
სკოლების მოწაფეებს შეხვდა. „მშვიდობა მაშინ
გვახსენდება, როცა უშუალო საფრთხეს ვხედავთ:
ომს, რომელიც ჩვენს ზღურბლთანაა გაჩაღებუ-
ლი, ან როცა ვიღაც ბირთვული თავდასხმით გვე-
მუქრება. მიგრანტების პრობლემებიც მაშინ გვახ-
სენდება, როცა მიგრანტი ჩვენი ნათესავია. მაგრამ
მშვიდობა მუდამ ჩვენი საქმეა, რადგან ის ჩვენს
დებსა და ძმებს სჭირდება, ჩვენ კი მათთვის ზრუნ-
ვა გვმართებს. ზრუნვის განსაკუთრებული მაგ-
ალითი კეთილი სამარიელია, რომელმაც მისთვის
სრულიად უცნობი ადამიანი გადაარჩინა. დღესაც
მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც მშვიდო-
ბისთვის იღვწიან და გაჭირვებაში მყოფებს ეხ-
მარებიან. მაშინ, გახდით მშვიდობის მგოსნები. იოც-
ნებეთ და იღვაწეთ მშვიდობიანი აწმყოსთვის და
მშვიდობიანი მომავლისთვის. იარეთ ბეთლემისკენ,
იესოსკენ - მშვიდობის მეფისკენ“, - მიმართა უწ-
მიდესმა ფრანცისკემ მოზარდებს.

მოსულის პათოლიკური ტაძრები შობას ზარის რეკვიტი შეხვდება

მოსულის წმიდა პავლეს ტაძრის ზარს ხან-
გრძლივი ომის დროს მუსლიმი ოჯახი მალავდა და
იცავდა. 13 ნოემბერს, რვაწლიანი დუმილის შემ-
დეგ, ზარის ხმა ისევ გაისმა. მონატრებული ხმის
მოსასმენად ტაძრისკენ მთელი ნინევის ქრის-
ტიანები გაემართნენ. აღდგენილია დომინიკულთა
დვთისმშობლის ეკლესიის ზარიც. „ტაძრის ზარის
ხმა მოწოდებაა მშვიდობისა და გულთა ერთობი-
სკენ. იმედი გვაქვს, რომ მალე ყველა ლტოლვილი
თავის სახლებს დაუბრუნდება და მშვიდობით, ერ-
თობითა და სიყვარულით იცხოვრებს“, - აღნიშნა
მოსულის ქალდეველთა მთავარეპისკოპოსმა ნა-
ჯიბ მაიკლმა.



გულშემატკივრების ლეგენდარული ფეხბურთისალის გამოჩანმრთელებისთვის ილოცეს

82 წლის პელე სწორი ნაწლავის კიბოს ეპრძ-
ვის. 4 დეკემბერს სან-პაულუს საავადმყოფოსთან,
სადაც ფეხბურთის ლეგენდა მკურნალობს, ასო-
ბით გულშემატკივარი შეიკრიბა, რათა მისი გამო-
ჯანმრთელებისთვის ელოცათ. გულშემატკივრებმა
სანთლები აანთეს და ხელიხელჩაკიდებულებმა
„მამაო ჩვენო“ და მარიამის ლოცვა აღავლინეს.
„მთელი სულით მასთან ვართ და ვლოცულობთ
იმისთვის, რომ მან სწეულება დაძლიოს. ეს ურ-
თულესი ბრძოლაა მის ცხოვრებაში“, - აღნიშნა
ერთ-ერთმა გულშემატკივარმა სააგენტო „France-
presse“-სთვის მიცემულ ინტერვიუში. „მინდა, რომ
ყველამ სიმშვიდე და პოზიტიურობა შეინარჩუნოს.
მე ძლიერი ვარ და იმედს არასდროს ვკარგავ. მთე-



მარიამი, მარიამ!

კათოლიკე ეკლესიის მიერ დადგენილ დოგ-მატთაგან, რომელიც ყველაზე გვიან გამოცხადდა, ერთ-ერთია ქალწული მარიამის უბინოდ ჩასახვა. იგი პაპმა პიუს მეცხრემ განსაკუთრებული ბულით (კრების გარეშე), 1854 წლის 8 დეკემბერს გამოცხადა ენციკლიკაში Ineffabilis Deus. სწავლება, რომელშიც გადმოცემულია, რომ „უნეტარესი ქალწული მისი ჩასახვის პირველივე წამს, ყოვლისშემძლე ღმრთის მიერ ბოძებული განსაკუთრებული მაღლისა და უპირატესობის ძალით, კაცთა მოდგმის მხსნელი იესო ქრისტეს დამსახურებათა წინასწარი გათვალისწინებით დაცულ იქნა თავდაპირველი ცოდვის ყოველგვარი ლაქ-ისაგან“, ღმრთის მიერაა გამოცხადებული და ამიტომ ყველა მართალი მტკიცედ და გადაჭრით უნდა აღიარებდეს მას. ანუ მარიამი თავისი მართალი მშობლების, იოაკიმესა და ანას მიერ ბუნებრივად ჩაისახა, ე. ი. მუცლადღება არ მომხდარა მეუღლის გარეშე, მაგრამ, პაპის სწავლებით, ქალწული მარიამი უკვე თვით მუცლადღებისას, იესო ქრისტეს მომავალ დამსახურებათა გამო, პირველქმნილი ცოდვის თანაზიარებისაგან გათავისუფლდა.

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიაც სულ მალე, 1862 წელს, სწორედ მარიამის უბინოდ ჩასახვის სახელზე აიგო და სამუალება გვაქვს, ამ დღეს ეს ორი თარიღი დიდი სიხარულით აღვნიშნოთ, მაგრამ ჯერჯერობით არა ჩვენს ისტორიულ და კუთვნილ ტაძარში, რომელიც, საქართველოში დანარჩენ ოთხ ტაძართან ერთად, მართლმადიდებელთა მიერ არის მიტაცებული. თუმცა თვით ამ ფაქტსაც არ შეუძლია დაჩრდილოს ამ დღის სიხარული და მოლოდინი. მით უფრო, როცა მთელი მრევლი განსაკუთრებული ერთიანობით ვიკრიბე-



ბით და საყვარელ ეპისკოპოსთან ერთად ვმონაწილეობთ საზემო წირვაში, ალვავლენთ ლოცვებს და ერთ დიდ სურვილად ჩვენი ეკლესის დაბრუნებას ვთხოვთ ღმერთს, მანამდე კი, წირვის შემდეგ ერთად მივემართებით იქ, სადაც უბინოდ ჩასახულს მხოლოდ რამდენიმე, გამოზომილი წუთით კი არ უნდა ვუგალობდეთ, არამედ მთელი დღის განმავლობაში უნდა მივაგებდეთ პატივს, მისი უყოფელი წარმატები „დიახ“-ისა და ადამიანთა მოდგმის მხსნელის დაბადებისთვის. იქამდე მანძილი მოკლეა, მაგრამ სიმართლის პოვნის შორი გზა გვაქვს გასავლელი. მანამდე დიდი მოთმინება და ლოცვაა საჭირო... ტაძარში შესულებს მარიამის ქანდაკებასთან ლოცვას არავინ გვიშლის, მხოლოდ ჩვენი ანთებული სანთლები ანათებენ მის სახეს და სხივჩამდგარ თვალებს, ანათებენ „უშუქო“ ტაძარს, სმენას აამებს ჩვენი გალობა, რომლის ჩახშობას თავიანთი გალობით ცდილობენ „კანონიერი“ მფლობელები, ცდილობენ მიგვახვედრონ, რომ იძულებით „მოპოვებული“ წუთები ამოინურა და ნებისყოფა აღარ ყოფნით...

დღევანდელ განწყობას ვერაფერი შეგვიცვლის და გადაწონის, ვემშვიდობებით მარიამს და ვიტოვებთ ხელახალი შეხვედრისა და უფრო ხანგრძლივი მოფერების იმედს. მანამდე კი ტაძრის შესასვლელთან სამახსოვრო ფოტოს ვიღებთ, როგორც ჩვენი წინაპრები აფიქსირებდნენ საკუთარი სალოცავის წინ საკუთარ კათოლიკობას.

ჩვენ დავბრუნდებით, აუცილებლად დავბრუნდებით და შენთან დავრჩებით! გვიმეოხე, მარიამ!



შეხვედრა პხალგაზრდებთან

ა. წ. 7 დეკემბერს ქუთაისის მარიამის უმანეოდ ჩასახვის ეკლესიის დღესასწაულთან დაკავშირებით, საეკლესიო საბჭოს გადაწყვეტილებით, ორგანიზებულ იქნა შეხვედრა ახალგაზრდებთან, რომელიც სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგის“ წარმომადგენლები არიან. ამ შეხვედრის მიზანი იყო, ხელი შეეწყო ქვეყანაში თაობებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ერებს შორის ტოლერანტული გარემოს შექმნისათვის, სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული პროცესების, მეცნიერების განვითარებისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობაში წარმოდგენა კათოლიკობაზე და ქუთაისის ყოფილ კათოლიკურ ეკლესიაზე ბუნდოვანია და ხშირად მცდარიც, ჩვენ შევთავაზეთ თემა: „კათოლიკე ეკლესიის ისტორია იმერეთში (ქუთაისის ყოფილი კათოლიკური ეკლესიის საკითხი)“. შეხვედრაში მონაწილეობისათვის მამა გაბრიელემ მოიწვია აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის პროფესორი,

რომელიც თავიდან დათანხმდა, მაგრამ შემდეგ, შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, გაუგებარ მიზეზთა გამო თავი შეიკავა ახალგაზრდებთან ამ საკითხზე საუბრისაგან. ამიტომ მამა გაბრიელემ ამ მისის შესრულება მიანდო სამრევლო საბჭოს წევრსა და კარიტასის ბავშვთა ცენტრის დირექტორს, ლევან ბეგიშვილს, რომელიც საკმად კარგად იცნობს კათოლიკობის ისტორიას საქართველოში, კერძოდ, იმერეთში და ყოფილი კათოლიკური ტაძრის საკითხს. შეხვედრამ თბილ გარემოში ჩაიარა. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მათვის უცნობი იყო კათოლიკე მისიონერების ღვაწლის შესახებ, რომელიც მათ მიუძლვით ქალაქის განვითარებასა და განათლების სხვადასხვა სფეროში, რადგან დაინტერესების შემთხვევაშიც კი პედაგოგები ვერ აძლევენ კომპეტენტურ პასუხ კათოლიკობის შესახებ საქართველოში. შეხვედრაში მონაწილეობდა მამა გაბრიელე ბრაგანტინი, რომელიც ასევე ერთვებოდა საუბარში.





ნიღბანთა პალდეპვალ...

დასასრული, დასაწყისი „საბა“ №12 (324)


დავტოვეთ მუმბაი, დიდი კონტრასტების ქალაქი, სწორედ მასზე ამბობენ, რომ აქ არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯურლმულები, ანუ უდარიბესი უბანი. დაიწყო ჩვენი მოგზაურობის მეორე ეტაპი: გოა; ამ უძველესი ქრისტიანული ტრადიციის ქალაქი, სადაც სპეციალური ტურისტული ტურია დანიშნული ქრისტიანული ადგილების მოსალოცად, მნიშვნელოვანი კავშირებია ინდოეთსა და საქართველოს შორის; ფაქტობრივად, ჩასვლისთანავე, საღამოს, გავემართეთ ავგუსტინელთა მონასტრის ნანგრევების მოსანახულებლად, სადაც, საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, დაიწყო წმიდა ქეთევანის რელიკვიების მოძიება და მრავალი მცდელობის შემდეგ, საბოლოოდ, მიაკვლიერ მათ; ეს რელიკვიები აქ მოიტანეს ავგუსტინელმა ბერებმა, რომლებმაც დედოფლის უკანასკნელი აღსარება ჩაიბარეს და მისი მონამებრივი აღსასრულის (1624) მოწმენი გახდნენ, შემდეგ კი იგი სწორედ ამ ეკლესიაში დაასვენეს, მისი ქრისტესადმი რწმენისა და სიწმინდისადმი უდიდესი მოწმების ნიშნად; ნაწილი რელიკვიებისა, აღმოჩენისა (2004) და დნმ-ით დადასტურების (2013) შემდეგ, ინდოელი ხალხის სახელით, გადაეცა ქართველ ხალხს (2021). აქ საინტერესოა მინიშნება „ქართველ ხალხს“ და არა მარტო საქართველოს საპატრიარქოს!!! ვიცოდით ისიც, რომ გოას ერთ-ერთ მუზეუმში თანას მონამეთა კიდევ ერთი ნახატი იყო, მაგრამ ნახვა ვერ შევძელით, ვინაიდან მუზეუმი უკვე დაკეტილი დაგვჭვდა.

მეორე დღეს ვეწვიეთ მამა ლოიოლა პერეირას, გოას ახალი კარდინალის, არქიეპისკოპოს ფილიპე ნერი ანტონიო სებასტიან და როსარიო ფერანის (პორტ. Filipe Neri António Sebastião do Rosário Ferrão) მდივანს, ახლად აღდგენილ, დიდ და საზეიმო საეპისკოპოსოში, მან გვიამბო ავგუსტინელთა მონასტერში წმიდა ქეთევანის რელიკვიების სასწაულებრივი აღმოჩენის შესახებ. სამწუხაროდ, რელიკვიები გოაში ალარ არის, ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ინდოეთში რჩება, დაცულია დელის სახელმწიფო მუზეუმში, კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

როგორც ყოველთვის, როდესაც უფლის სახელით ვირჯებით, მუდამ ვგრძნობთ ღვთის ხელს და მის განგებულებას. სწორედ ასე მოხდა, როდესაც გოაში ისევ შევხვდით მუმბაელ ისტრიკოს, ქალბატონ ფლორ დ'სოუზას (Fleur D'Souza), თა-

ნას წამებულთა ექსპერტს, რომელიც აქ დროუბით იმყოფებოდა; იგი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა მოწამეთა ცხოვრების მიმართ, ჩაატარა სხვადასხვა სახის კვლევა და გამოაქვეყნა სტატიათა კრებული; მან გვაჩვენა მის ხელთ არსებული ყველა მასალა და, ჩვენდამი კეთილგანწყობით, მათი ასლების გადაღების საშუალება მოგვცა. ეს ისტორიული მასალა დიდ დახმარებას გაგვიწევს შემდგომში, რათა ძმა დემეტრე ოფიციალურად იქნეს აღიარებული წმიდანად საქართველოში. ისტორიული მასალის მიზანი ჩურჩულით გვითხრა: როგორც ჩანს, ჩინეთში მიაგნეს საფლავს, თანას მოწამეთა რამდენიმე რელიკვიით... ნუთუ მართალია?

დავბრუნდით კავკასიაში, მე პირდაპირ სომხეთისკენ გავემართე, მამა გაბრიელე კი, კერალაში ვიზიტის შემდეგ, გაემგზავრა საქართველოში, რათა შეხვედროდა სტიმატინთა ორდენის წევრებს, რომლებიც უკვე ოცი წელია აქ იმყოფებიან; იგი გახარებული იყო, მასზე დაკისრებული მისია რომ შეასრულა, და ასევე იმით, რომ მოწმენი ვიყავით ჩვენი საყვარელი კათოლიკე ეკლესიის ისტორიისა და საყოველთაობისა. გულითადი მადლობა მათ, ვინც გვიმასპინძლა და მეგზურობა გაგვიწია ამ მოგზაურობისას.




წმიდა საყდრის დესპანები საეპარტოლოში

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „საბა“ 8 (320) 2022

2011-2017 წლებში წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში იყო არქიეპისკოპოსი **მარეკ სოლჩინსკი**. იგი წმიდა საყდრის დიპლომატიურ სამსახურში ეკლესიის საქველმოქმედო მსახურების სფეროდან მოვიდა, თუმცა მაღვევე აუღო აღღო საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობას. მართალია, იგი, წინამორბედი ელჩებისგან განსხვავებით, შედარებით წაელებად იყო ჩართული სადეპანოს გარეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში და პიარზეც წაკლებად ზრუნავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოკრძალებული ფორმით, სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოსა და სომხეთში კათოლიკე ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების საქმიანობაში.

ნუნციუს მარეკ სოლჩინსკის მოკრძალებულობის სამაგალითოდ მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვანთ: 2012 წელს მისი ინიციატივით ჩატარდა თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში წინა წელს რუსეთში, სმოლენსკთან ტრაგიკულად დაღუპული პოლონეთის სამთავრობო დელეგაციის წევრთა (დელეგაცია, რომელიც კატინში პოლონელ სამხედროთა მასობრივი დაკრძალვის ადგილზე მიფრინავდა და რომლის ხელმძღვანელიც გახდდათ საქართველოს დიდი მეგობარი, პოლონეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ლეჰ კარინსკი) სულის მოსახსენიებელი წმ. წირვა, რომელსაც ნუნციუსის მოწვევით ესწრებოდა საქართველოს პირველი ლელი სანდრა რულოვსი და სახელგანთქმული ქართველი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი. ამ გარემოებას მრავალი თავის მოსაწონებლად გამოიყენებდა და მედიის საშუალებით მთელ ქვეყანას გააცნობდა თავის „დამსახურებას“. ნუნციუსმა ქრისტიანული რწმენით, გულითადი სიყვარულითა და პატრიოტული მოწოდებით აღავლინა წმ. წირვა და მოიწვია ის საპატიო სტუმრები, რომლებიც კარგად იცნობდნენ და მეგობრობდნენ პოლონეთის პრეზიდენტთან და მის ოჯახთან. შეგახსენებთ, რომ ლეჰ კარინსკი არაერთხელ სტუმრობდა საქართველოს, მათ შორის, 2008 წლის რუსეთთან იმის დროსაც და თბილისის კათოლიკურ საკათედრო ტაძარშიც დასწრებია წმ. წირვას.

არქიეპისკოპოსმა მარეკ სოლჩინსკიმ თავისი ნუნციუსობის პერიოდში შეძლო ელჩის უმთავრესი მოვალეობის ნარმატებით შესრულება. 2016 წელს დაიგეგმა და მაღალ დონეზე განხორციელდა რომის პაპის ოფიციალური ვიზიტები სამხრეთ კავკასიაში. პაპ ფრანცისკეს სურვილი პერიოდა მოენახულებინა სამხრეთ კავკასიის ორი დაპირისპირებული სახელმწიფო, აზერბაიჯანი და სომხეთი, და თავისი სტუმრობით ხელი შეეწყო ორ ქვეყანას შორის მრავალნლიანი დაძაბულობის შემცირებისათვის. ამ მშვიდობისმოსურნე ვიზიტის მომზადებაში, ცხადია, აქტიურად იყვნენ ჩართული წმიდა საყდრის ნუნციუსები სამხრეთ კავკასიაში.



აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული არაკეთილმებობლური ურთიერთობების გამო, პაპ ფრანცისკეს ვიზიტი ირ ეტაპად დაიგეგმა, ვინაიდან დიპლომატიური კუთხით მიუღებელი იყო დაპირისპირებული ქვეყნების ერთი ვიზიტის დროს მონახულება. თვედაპირველად, ივლისის თვეში, პაპი ფრანცისკე სომხეთს ესტუმრა, ხოლო სექტემბერ-ოქტომბერში - საქართველოსა და აზერბაიჯანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში პაპის ოფიციალური ვიზიტის დროს, თბილისის ასირიულ-ქალდეურ კათოლიკურ ეკლესიაში პონტიფექსთან შესახვედრად ბალდადიდან სპეციალურად ჩამოფრინდა ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის პატრიარქი. პაპ ფრანცისკეს იმხანად დიდი სურვილი პერიოდა ერაყში მშვიდობის მისით სტუმრობისა, მაგრამ ქვეყანასა და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მეტად დაძაბული საომარი ვითარების გათვალისწინებით, ამ ვიზიტის განხორციელება ვერ ხდებოდა. ასირიულ-ქალდეური ეკლესიის პატრიარქთან თბილისში განხორციელებულმა შეხვედრამ კი, ფაქტობრივად, სიმბოლური სამშვიდობო დატვირთვა მიიღო.

პაპის ორდღიან სტუმრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კათოლიკე ეკლესიისა და მრევლისათვის. ამ ვიზიტთან დაკავშირებით, რუსთავის ქალაქის მმართველობა, რომელიც მანამდე წლების მანძილზე არ აძლევდა თანხმობას რუსთავის კათოლიკე მრევლს, რომ მათ საკუთარ მიწის ნაკვეთზე აეგოთ ტაძარი, იძულებული გახდა, თანხმობა გაცადა, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პაპ ფრანცისკეს თბილისში სტუმრობამ მისცა საშუალება რუსთაველ კათოლიკებს, აეგოთ ტაძარი, რომელიც ახლა ამ ქალაქის ერთ-ერთ არქიტექტურულ მშვენებას წარმოადგენს.



რექტორის ინაუგურაცია სულხან-საბა რექტორის უნივერსიტეტი



ინაუგურაციის ცერემონია, რომელიც სათავეს იღებს ძველი რომიდან, ხელისუფალისთვის ძალაუფლების საზეიმო გადაცემის რიტუალს წარმოადგენს. ინაუგურაციის ტრადიცია შემდგომ ახალი ხელმძღვანელის, მეთაურის საზოგადოებისათვის საჯარო წარდგენის რიტუალად ჩამოყალიბდა. დამოუკიდებელ საქართველოში ინაუგურაციის ჩატარების ტრადიციას 1991 წლიდან ეყრდნობა საფუძველი. ჯერჯერობით მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტებისათვის უფლებამოსილების გადაცემის ინაუგურაციები გვახსენდება, თუმცა ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ შეუსაუკენებელი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი უნივერსიტეტების რექტორების ინაუგურაციის ტრადიცია. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, როგორც ჭეშმარიტად ევროპული ინსტიტუცია, ცდილობს იმ გამორჩეული ტრადიციების დამკვიდრებას, რაც დასავლური იდენტობისათვისაა დამახასიათებელი, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც ისწრაფების დანერგოს და, ამავდროელად, ქართული ელფერი მიანიჭოს მას.

9 დეკემბერს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გაიმართა ახალი რექტორის, თეოლოგიის დოქტორის, მამა აკაკი ჭელიძის ინაუგურაცია. მამა აკაკი ჭელიძე მიმდინარე წლიდან ამ უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობას იკავებდა, იცნობდა უნივერსიტეტის შიდა ცხოვრებას, საზღვარგარეთ ოფიციალურ მივლინებებში იმყოფებოდა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებაშიც მიიღო მონაწილეობა. ამ დღეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ პროფესიონერები, სტუდენტები, საპატიო სტუმრები: წმიდა საყდრის, პოლონეთის, უნგრეთის ელჩები; უნივერსიტეტის დამფუძნებელი მეუფე ჯუზეპე პაზონტო, სხვადასხვა კათოლიკური ორდენის წარმომადგენელი სასულიერო პირები. ინაუგურაცია გახსნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პრორექტორმა დიმიტრი გეგენავაშვილმა; მან მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის უკვე საპატიო სტუმრებს რექტორის პასუხისმგებელს უკვე საქმიანობას.

რექტორს, პროფესორ ვაჟა ვარდიძეს განეული ნაყოფიერი საქმიანობისათვის რექტორის თანამდებობაზე შეგახსნებთ, რომ ბატონი ვაჟა ვარდიძე ჯერ კიდევ 2003 წლიდან გახლდათ მაშინდელი სულხან-საბა ორბელიანის თეოლოგიის ინსტიტუტის პრორექტორი, შედგომ, 2009 წლიდან, რაც ინსტიტუტმა ახალი აკრედიტაცია მიიღო და უნივერსიტეტად გარდაიქმნა, ბატონი ვაჟა ვარდიძე დაუღალავად იღვნოდა უნივერსიტეტის განვითარებისათვის. მისი რექტორობის წლებში აიგო ახალი სასწავლო კორპუსი და კამპუსი, ხუთჯერ გაიზარდა ფაკულტეტების რაოდენობა, „საბაუნი“ სასწავლო უნივერსიტეტიდან გარდაიქმნა სრულფასოვან უნივერსიტეტი, ეს სტატუსი ვერ მოიპოვა ბევრმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ამჟამად ბატონი ვაჟა ვარდიძე სამეცნიერო მივლინებით გერმანიაში, ფრანგურგის უნივერსიტეტში გააგრძელებს საქმიანობას.

უნივერსიტეტის დამფუძნებელმა მეუფე ჯუზეპე პაზონტომ თავის მიმართვაში სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა ბატონ ვაჟა ვარდიძის მიმართ, ასევე წარმატებები უსურვა ახალ რექტორს, მამა აკაკი ჭელიძეს და იმედი გამოთქვა, რომ მამა აკაკი თავის გამოცდილებას, ენერგიასა და ძალისმევას არ დაიშურებს უნივერსიტეტის კიდევ უფრო განვითარებისათვის. მისა-სალმებელი სიტყვით გამოვიდა მისი აღმატებულება, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, არქიეპისკოპოსი უზე აველინო ბეტენკური. შემდგომ შედგა ინაუგურაციის მთავარი მომენტი, ვაჟა ვარდიძემ მეუფე ჯუზეპეს, როგორც დამფუძნებელს, დაუბრუნა რექტორობის სიმბოლოები, ხოლო მეუფემ უკვე ახალ რექტორს გადასცა ეს სიმბოლოები. ინაუგურაციის დასკვნით ნაწილში ახალმა რექტორმა მამა აკაკიმ თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა დამფუძნებელს, ყოფილ რექტორს, უნივერსიტეტის პროფესიონერ გამოჩენილი ნდობისათვის და პირობა დადო, რომ მთელი ძალისმევით გააგრძელებს რექტორის პასუხსაგებ საქმიანობას.

ლათინ კათოლიკური კავკასიის სამოციელო აღმინისტრაციის 30 წლისთავი



რას წარმოადგენს ადმინისტრაცია?

სამოციელო ადმინისტრაცია არის საყოველ-თაო ეკლესიის სტრუქტურა, სხვა საეკლესიო სტრუქტურებთან ერთად, როგორიცაა ეპარქია, მიტროპოლია, სამოციელო პრეფექტურა, ვიკარიატი, მისიონები და სხვა. კანონიკური სამართლის კოდექსის კან. 371, §2-ის საფუძველზე სამოციელო ადმინისტრაცია შემდეგნაირად განისაზღვრება: „სამოციელო ადმინისტრაცია არის საღმრთო ერის კონკრეტული ერთეული, რომელიც სპეციფიკურ და განსაკუთრებით მძიმე მიზეზთა გამო უზენაესი პონტიფიცექსის მიერ ეპარქიად არ არის დადგენილი და მისი პასტორალური მართვა ეკისრება სამოციელო ადმინისტრატორს, ვინც მასზე უზენაესი პაპის სახელით მოქმედებს“.

რას წარმოადგენს ეპარქია?

კან. 369-ის მიხედვით (თანაბრად Christus Dominus 11-ისა): „ეპარქია არის საღმრთო ერის ნაწილი, რომლის სამწყსოს მზრუნველობა ეპისკოპოსს აპარია, ხუცესებთან თანამშრომლობით, იმგვარად, რომ თავის მწყემსთან კავშირში, ვინც მას სულიშმიდაში ჰქონებს, სახარებისა და ევეკარისტიის მეშვეობით ადგილობრივ ეკლესიას ქმნის, სადაც ჭეშმარიტად იმყოფება და მოქმედებს ქრისტეს წმიდა, კათოლიკე და სამოციელო ეკლესია“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება არ არის

რა განსხვავებაა ეპარქიასა და სამოციელო ადმინისტრაციას შორის?

ამ ორი კანონის მიხედვით, სამოციელო ადმინისტრაცია „ასიმილირებულია“ ეპარქიასთან და, შესაბამისად, როგორც ეპარქია წარმოადგენს სტრუქტურული თვალსაზრისით საეკლესიო კრებულის სისავასეს, ასევე სამოციელო ადმინისტრაციაც, ანუ ეს არის სტაბილური „portion populi dei“, - „საღმრთო ერის ნაწილი“ - როგორც წესი, ტერიტორიულ საზღვრებში მოქმედები, „რომელშიც ჭეშმარიტად იმყოფება და მოქმედებს ქრისტეს წმიდა, კათოლიკე და სამოციელო ეკლესია“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება არ არის

მოკლედ შევჩერდები ზოგიერთ ელემენტზე:

ეპარქია საღმრთო ერის ნაწილია: ეპარქია არ არის „საეკლესიო დაჯგუფება“ (ფრაქცია), რომელიც სხვა „დაჯგუფებებთან“ ერთად საყოველთაო ეკლესიას ქმნის, არ არის ავტორქიული ეკლესია, რომელიც უპირისპირდება სხვა დამოუკიდებელ და იურიდიულად უფლებამოსილ სუბიექტს, საყოველთაო ეკლესიას. ეპარქია ერთი და ერთადერთი ეკლესიის ავთენტური და თავისითავადი ფორმაა, რომელსაც აქვს უფლებამოსილება და იმართება ორგანიზებული და იერარქიული სტრუქტურით და სულინმიდის ცხოველმყოფელი ძალით, რითაც მთელი ეკლესია სულდგმულობს. ადგილობრივი ეკლესია ერთ

საბანგებო ჩანართი



კონკრეტულ ადგილზე მყოფი ეკლესია, იგი აღიარებს საკუთარი რწმენის იდენტურობას კონკრეტულ რეალობაში, გადმოსცემს საკუთარ შესაძლებლობებს, რესურსებს და ცხოვრებისეულ წესებს, საჭიროების შემთხვევაში, განმედს მათ, აძლიერებს და აღმაღლებს. ევქარისტიული წირვა სრულად ასახავს ამ მოვლენას: „თავის თავს ეკლესია ძირითადად გამოხატავს საღმრთო ერის სრული და აქტიური მონაწილეობით... იმავე ევქარისტიაში... რომელსაც უძღვება ეპისკოპოსი, თავისი ხუცესებითა და მსახურებითურთ“ (SC 41).


„მასზე სამწყსო ზრუნვა აპარია ეპისკოპოსს, ღვთისმსახურებთან თანამშრომლობაში: ეკლესიაში უფალმა სხვადასხვა მსახურება დაადგინა ხალხის სასიკეთოდ. ეპისკოპოსი არის ადგილობრივი ეკლესიის ერთიანობის თვალსაჩინო ფიგურა და მისი საფუძველი, იგი მისი წარმომადგენელია და, სხვა ეპისკოპოსებთან და რომის პაპთან ერთობაში, წარმოადგენს ასევე მთელ ეკლესიას. ეპისკოპოსთა და ხუცესთა კავშირი დადასტურებული ფაქტია პირველქრისტიანულ ეკლესიაში.

...ქმნის ადგილობრივ ეკლესიას: ადგილობრივი ეკლესიის მიზანია, საკუთარი თავი საღმრთო ერის ნაწილად აღიქვას იმ კონკრეტულ ადგილზე, სადაც ცხოვრება უწევს. ლათინური კათოლიკური ეკლესია გადმოსცემს ტერიტორიულობის პრინციპს, როგორც საეკლესიო სტრუქტურების ორგანიზებაზე და მორწმუნებზე პასტორალური ზრუნვის ძირითად კრიტერიუმს. დღეს ტერიტორიულობის პრინციპის საპირისპიროდ სულ სხვადასხვა გარემოებები აღმოცენდნენ. ცვლილებები აშკარაა: შიდა მიგრაციები, მორწმუნეთა მიერ ნებაყოფლობითი შერჩევა საკრებულოსი, სადაც საკუთარ რწმენას გაიღრმავებენ და იცხოვრებენ, დემოგრაფიული ტენდენცია, ოდესლაც დასახლებული ტერიტორიების განსახლება, ურბანული ცხოვრების ახალი ფორმები. ყოველივე ეს და ასევე სხვა გარემოებები ცხადყოფენ, რომ უნდა გადაილახოს ტერიტორიულობის პრინციპის ხისტიკონცეფცია, იმისათვის, რომ უფრო ადეკვატური სტრუქტურა შეიქმნას. თუმცა, თუკი ეკლესია, ტერიტორიულობის ნაცვლად, სხვა პრინციპით იხელმძღვანელებს, შეიძლება მან მიიღოს კლუბის სახე, რომლის წევრებიც შერჩეული იქნებიან რასის, ენის, სოციალური კლასის ან სხვა საერთო მახასიათებლის მიხედვით. არადა, ტერიტორია ავალდებულებს, იყოს საეპარქიო ეკლესიის შემადგენლობაში (იგივე ეხება სამრევლოს) „ყველა მორწმუნე, ვინც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს“ (CIC, c. 372, § 1), იქნება ის ეკლესიაში მლოცველი თუ უბრალოდ მორწმუნე. კათოლიკემ, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე და გარკვეულ სივრცეში ცხოვრობს, უნდა

იცოდეს, სად შეიძლება მოიძებნოს ის დაწესებულებები, ორგანიზმები და, უპირველესად, ადამიანები, რომლებიც მისთვის საყრდენი წერტილი გახდება. ტერიტორია საუკეთესო ფორმა კონკრეტულ ანთროპოლოგიურ-გეოგრაფიულ სივრცეში მისიონერული მოქმედებისა და ეკლესიის კათოლიკურობის რეალიზებისათვის.

რა განსხვავებაა ეპარქიის ეპისკოპოსსა და სამოციქულო ადმინისტრატორს შორის?

სამოციქულო ადმინისტრატორი, განსხვავებით ეპისკოპოსისაგან, რომელიც ასრულებს თავის ფუნქციას, როგორც „საკუთარს“, ასრულებს „ვიკარის“ ფუნქციას, ამ შემთხვევაში, „უზენაესი პონტიფექსის სახელით“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომის პაპი ჩვენი ადმინისტრაციის პირდაპირი ეპისკოპოსია და ჩვენი ეპისკოპოსი თავის მსახურებას ასრულებს პაპის ან მისი თანამშრომლების დაქვემდებარებაში. ამის



საფუძველზე, ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების ეკლესიის საკათედრო ტაძრად მიჩნევა არასწორია; უმჯობესი იქნება, თუკი მას მთავარ ეკლესიად მიკიჩნევთ; ფაქტობრივად, ჩვენი ეპისკოპოსი არ არის თბილის ეპისკოპოსი, იგი ნუმიდიის მუსტიის (ამჟამინდელი აღუირი) ტიტულოვანი ეპისკოპოსია და მთავარ ეკლესიაში ნამდვილად არ არის განწესებული საეპისკოპოსო კათედრა, საიდანაც მომდინარეობს თავად ეს სახელიც - საკათედრო ტაძარი.

როდის დაარსდა ჩვენი ადმინისტრაცია?

30 წლის წინ, უფრო ზუსტად, 1993 წლის 30 დეკემბერს, ეპისკოპოსთა კონგრეგაციის დეკრეტით *Quo aptius*, რომლის საფუძველზეც ტირასპოლის ეპარქიას გამოეყო ტერიტორია. თავდაპირველად მასში შედიოდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. 2000 წლის 11 ოქტომბერს ამ ტერიტორიის აზერბაიჯანულ ნაწილში დაარს-

და ბაქოს მისია (დღევანდელი აზერბაიჯანის სამოციქულო პრეფექტურა), *mission sui iuris*. სამოციქულო ადმინისტრაცია თავის იურისდიქციას საქართველოსა და სომხეთში მცხოვრებ ლათინური წესის ყველა კათოლიკეზე ავრცელებს. სამოციქულო ადმინისტრატორის ადგილ-სამყოფელი ქალაქი თბილისია, სადაც აღმართულია ნეტარი ქალწული მარიამის აღყვანების ტაძარი. ტერიტორია დაყოფილია 17 სამრევლოდ; 1996 წლის 29 ნოემბრიდან სამოციქულო ადმინისტრატორია ჯუზეპე პაზოტო, C.S.S., მან შეცვალა უან პოლ გობელი.

რა არის საეპარქიო კურია?

საეპარქიო კურია ორგანიზმთა და ადამიანთა ერთობლიობაა, რომლებიც „ეპისკოპოსს ეხმარებიან ეპარქიის მართვაში, კერძოდ, ზრუნავენ სამწყსო აქტივობებზე, უზრუნველყოფენ ეპარქიის მართვას და ასევე იურიდიული უფლებების შესრულებას“ (კან. 469). ეპისკოპოსთა სამწყსო მსახურების დირექტივა *Apostolorum successores* შემდეგს აცხადებს: „საეპარქიო კურია მოიცავს მსახურებას და ადამიანებს, რომლებიც ეპისკოპოსის გვერდით თანამშრომლობენ და ეხმარებიან მას სამწყსო მსახურებაში და მასთან ერთად ერთ მთლიან სხეულს ქმნიან“ (n.177). ეპარქიის ეპისკოპოსა და კურიას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი: ისინი ერთ მთლიან ორგანოს უნდა ქმნიდნენ. კურიას აქვს პასტორალური ფუნქცია, ის ზრუნავს არა მხოლოდ ეპარქიის მართვაზე, არამედ სამოციქულო საქმეებზეც. კარგი იქნება, გავიხსნოთ, რას წერს იოანე პავლე II თავის წერილში *Novo millennio ineunte* (06.01.2001. n. 45): „ზიარების სივრცე დღითიდღე, ყოველმხრივ მტკიცდება და ვრცელდება თითოეული




S.E. Mons. Jean-Paul Gobel
Archievocca-Bilore di Giulia
Incardinato d’Affari ad. 1993
Nuzio Apostolico 1998-1999

ეკლესიის ცხოვრებაში. ზიარება უნდა აისახებოდეს ეპისკოპოსს, ხუცესებსა და დიაკონებსა შორის კავშირებში, მწყემსებსა და საღვთო ერს შორის, სამღვდელოებასა და ბერ-მონაზვნებს შორის, საეკლესიო ასოციაციებსა და მოძრაობებს შორის. ამ მიზნით, საჭიროა უფრო მეტად დაფასდეს კანონიკური უფლებით აღჭურვული ორგანოები, როგორიცაა სამღვდელო და სამწყსო საბჭოები“.

რატომ არის თბილისში სამოციქულო ადმინისტრაცია და არა ეპარქია?

ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ კათოლიკე ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიას ჭეშმარიტ ეკლესიად აღიარებს, თუნდაც მასთან ზიარებაში არ იმყოფებოდეს და, ცხადია, აღიარებს მის იერარქიას, ამიტომაც, ნიკეიის კრების (325 წ.) მე-8 კანონის თანახმად, ერთ ქალაქს არ შეიძლება ორი ტიტულოვანი ეპისკოპოსი ჰყავდეს; კათოლიკე ეკლესიის მხრიდან ეს სულგრძელი საეკლესიო და ეკუმენური ნიშანია მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. შეცვლილი სოციალური და საეკლესიო ვითარება აღბათ მოითხოვს ამ კანონის გადახედვას, რაც, ფაქტობრივად, უკვე სახეშეცვლილია, თუკი გავიხ-



საბანგებო ჩანართი

სენებთ, უცხოეთში საქართველოს მართლმადიდებლური ეპარქიების შექმნის ფაქტებს, მართლმადიდებელი ეპისკოპოსებით, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქალაქებში, სადაც უკვე იმყოფება კათოლიკე ან მართლმადიდებელი ეპისკოპოსი. მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა ეს კანონი 1920 წლამდე შეინარჩუნეს, დიასპორის დაწყებამდე, განსხვავებით კათოლიკე ეკლესიისგან, რომელიც ყოველთვის იცავდა მას.

არსებობდა თუ არა საქართველოში კათოლიკური ეპარქია ქართველ კათოლიკეთათვის?

ამ ეკლესიის ისტორიაში იყო მომენტი, როდესაც პაპმა იოანე XXII-მ სმირნის საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა, დააარსა ტფილისის ეპარქია 1328 წელს (9 აგვისტო, ე.წ. *Tefelicensis an Tephelicensis*), როგორც სულთანიეს (პეკინი) სუფრაგანი და 1329 წლის 19 აგვისტოს ეპისტოლით პირველ ეპისკოპოსად დანიშნა ჯოვანი ფლორენციელი, რომელიც იყო ბართოლომეო მცირის, მარაგენის ეპისკოპოსის და სომხეთში დომინიკელთა ორდენის დამაარსებლის თანამოსაზრე. კათედრა 180 წლის განმავლობაში მოქმედებდა. მის დაქვემდებარებაში იყო თხუთმეტი ეპისკოპოსი. სავარაუდოდ, ეს ეპარქია, ისევე როგორც იოანე XXII-ის მიერ კავკასიაში დაარსებული ეპარქიები, XIV საუკუნის ბოლოს თემურლენგის შემოსევების შედეგად განადგურდა. XVIII ს-ის II ნახევარში, ორსაუკუნოვანი პაზის შემდეგ, ამ ტიტულს ხელახლა ვხვდებით პაპის აქტებში, როგორც *Tephelicensis seu Tiphilitana* და მას მიტროპოლიტურ არქიეპარქიად მიიჩნევდნენ. ტიტულისის ტიტული, რაზეც ჯერ კიდევ 1862 წლის *Annuario Pontificio*-შია საუბარი, მოგვიანებით გააუქმეს.



რა მიზეზებით დააარსა პაპმა იოანე XXII-მ საეპისკოპოსო კათედრა ტფილისში?

როგორც ამბობენ, მან ჩანაცვლა თურქების მიერ ოკუპირებული სმირნა, იმ დროს, როცა საქართველო მონღლოებისგან გათავისუფლდა გიორგი V-ის მიერ, 1314 წელს, (აიღეს 1242 წელს), მიზეზებს შორის ისიც არის, რომ თბილისი შეიძლებოდა მნიშვნელოვან ბაზად ქცეულიყო შორეულ აღმოსავლეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად, როგორც ამას პაპები ფიქრობდნენ. სხვების აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იყო 1321 წელს ინდოეთში, თანაში მონამებრივად აღსრულებული დემეტრე თბილელისადმი დიდი მოწინება, ვინაიდან ამ ფაქტება დასავლეთზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საინტერესოა, განსხვავებული იერარქია აქამდე არ არსებობდა? რა რეაქცია მოჰყვა ამ გადაწყვეტილებას საქართველოში? გაისმა თუ არა პროტესტი საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან? იმ წლებში პატრიარქები იყვნენ მიხეილ V (1325-1330) და ბასილ V (1330-1350). ამ პერიოდის ეპისტოლებიდან ამგვარი დამოკიდებულება არ ჩანს (ტაბალუა, გვ. 37-48); პირიქით, პაპმა მეფეს სთხოვა, რომ სათა-

ნადოდ მიეღო მის მიერ წარგზავნილი ეპისკოპოსი.

თუკი სამოციქულო ადმინისტრაციის 30 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ კათოლიკური ეკლესია საქართველოში აქამდე არ არსებობდა?

რა თქმა უნდა, არა. სამაგიეროდ, უნდა განვაცხადოთ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში სახარების ქადაგება დაიწყო (I საუკუნე, შემდეგ IV საუკუნე), იმ მომენტიდან უნდა ვსაუბრობდეთ ეკლესიის არსებობაზე, რომელიც უნდა იყოს მხოლოდ კათოლიკური, როგორც ეს მოციქულთა მრნამსშია გაცხადებული. თავიდან არ არსებობდა ეკლესიაზე საუბრის ის ფორმა, რაც დღეს არის ჩვენთვის ცნობილი, ანუ „მართლმადიდებლური ეკლესია“ და „კათოლიკური ეკლესია“; ამგვარი, ურთიერთგამომრიცხავი ფორმით საუბარი, მხოლოდ XI საუკუნის სქიზმის შემდეგ გაჩნდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ურთიერთობა საქართველოში არსებულ ეკლესიასა და რომის ეკლესიას შორის ყოველთვის არსებობდა და გრძელდებოდა ბიზანტიისა და რომის ეკლესიის დაყოფის შემდეგაც, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ინტენსივობით.

დესერტები კათოლიკური მიღანთა პატივსაცემაზე

მეფე-მოგვთა ნამცხვარი

6 იანვარს კათოლიკე ეკლესიაში აღინიშნება უფლის გაცხადების ანუ „სამი მეფის“ დღესასწაული. უფლის გაცხადება იქსო ქრისტეს სახით უფლის ამქვეყნად მოვლინებას გულისხმობს. ლათინური წესით, ლიტურგიის დროს მოიგონებენ სამ სახარებისეულ მოვლენას: მოგვთა თაყვანისცემას, იქსოს ნათლობას და სასწაულს გალილეის კანაში. კათოლიკე ეკლესიაში უფლის გაცხადების დღესასწაული უკვე V საუკუნიდან აღინიშნებოდა, თანაც უპირატესი მნიშვნელობა მოგვთა თაყვანისცემას ენიჭებოდა. რამდენადაც შუა საუკუნეების ლეგენდები სახარებისეულ მოგვებს სამეფო ღირსებას ანიჭებდნენ, რიგ ქვეყნებში ღვთის გაცხადებას „სამი მეფის დღესასწაული“ ეწოდა.

ამ დღესთან დაკავშირებით ამზადებენ **მეფე-მოგვთა ნამცხვარს**. ფრანგულ ენაზე მას ეწოდება „Galette des Rois“, ესპანურად - „Roscón de Reyes“, იტალიურად კი - „Ciambella dei Re Magi“. ნამცხვრის რეცეპტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია, მაგრამ საერთო აქვთ ის, რომ ნამცხვარს უნდა ჰქონდეს წრის ან ბეჭდის ფორმა, რაც სიმბოლურად განასახიერებს სამეფო გვირგვინს.

ესპანეთში მოგვთა ნამცხვარი (roscón de Reyes) მზადდება საფუარის ცომისაგან, ყოველთვის „გვირგვინის“ ფორმა აქვს და მორთულია



დაშაქრული ხილით. მისი მომზადება შესაძლებელია კრემის ან ათქვეფილი ნაღების შიგთავსით, ან შიგთავსის გარეშე. მკვეთრი წითელი და მწვანე ფერის ხილი სიმბოლოა იმ ძვირფასი ქვებისა, რომლებითაც სამი მოგვის სამოსი იყო შემკული. ესპანეთსა და პორტუგალიაში ნამცხვარში ხანდახან ათავსებენ ლობიოს ან ყრმა იქსოს პატარა ფიგურას და ისე აცხობენ.

იტალიაში კი ღვთის გაცხადების დღესასწაულის ყველაზე ცნობილი დესერტია liguriuli Ciambella dei Re Magi - მეფე-მოგვთა ტორტი. ცომის კომპონენტებია ფევილი, ნაღების კარაქი, კვერცხი, შაქარი, საფუარი, რძე, მარილი და ფორთოხლის ცედრა. შიგთავსისთვის საჭიროა: ნაღები, კვერცხის გული, შაქრის პუდრა და დაშაქრული ხილი.

წმიდა აგნესას ფუნთუშები



წმიდა აგნესა (Agnese, ბერძნ. Agnox-წმიდა, უცოდველი, უმანვო), რომელსაც კათოლიკე ეკლესია 21 იანვარს მოიხსენიებს, III-IV საუკუნეების რომაელი მონამეა. მის შესახებ სანდო ცნობები არ შემონახულა. გადმოცემის თანახმად, აგნესა სარწმუნოებისათვის მონამებრივად აღსრულა სრულიად ახალგაზრდა, ჯერ ისევ ნორჩი, დაახლოებით 12-13 წლისა.

XIV საუკუნეში სევილიაში წმიდა აგნესას მონასტრის კლარისელმა მონაზვნებმა შექმნეს დესერტი: **წმიდა აგნესას ფუნთუშები** - Bollitos de Santa Inés.

ინგრედიენტები: ფქვილი, ზეითუნის ზეთი, საფუარი, სეზამის მარცვლები, მარილი და წყალი. ფუნთუშებს უნდა ჰქონდეს ასო „S“-ს ფორმა, მიახლოებით მაინც.



რიო დე ზანიოროში ქრისტე მესნელის ეპიფანიის შემთხვევის მოქამავის უმბავი



ქანდაკების მთავარი მშენებელი არ იყო კათოლიკე, მაგრამ მთელი მისი ცხოვრება შეიცვალა მშენებლობის დროს მომხდარი ინციდენტის შემდეგ.

ქრისტე მესნელის (Cristo Redentor) ქანდაკების საზეიმო გახსნა შედგა რიო დე უანიოროში, 1931 წლის 12 ოქტომბერს. ძეგლი, რომელიც ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა, სიდიდით მესამეა მსოფლიოში არსებულ ქრისტეს ქანდაკებათა შორის. მისი სიმაღლეა 125 ფუტი (38,1 მეტრი), ხოლო წონა - 1100 ტონაზე ოდნავ მეტი.

ქანდაკება, რომლის შექმნას დაახლოებით ცხრა წელი დასჭირდა, მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის ერთ-ერთად იქნა მიჩნეული. პროექტი შეადგინა პოლონელი წარმოშობის ფრანგმა მოქანდაკემ პოლ ლანდოვსკიმ (ფრ. Paul Landowski) და ააგო ბრაზილიელმა ინჟინერმა ეიტორ და სილვა კოშტამ (პორტ. Heitor da Silva Costa), ფრანგ ინჟინერ ალბერ კაკოსთან (ფრ. Albert Irénée Caquot) თანამშრომლობით.

მთავარი მშენებელი და პროექტის ხელმძღვანელი იყო ეიტორ ლევი. მშენებლობის წლებში იგი ცხოვრობდა კორკოვადუს (პორტ. Corcovado

- „კუზიანი“, მთა ბრაზილიაში, რომელზედაც დგას ქანდაკება) მწვერვალზე, რათა ყურადღებით ედევნებინა თვალი ქანდაკების აღმართვის სამუშაოებისათვის.


ყველა აღნიშნავდა, რომ ქრისტე მესნელის ქანდაკების შექმნა ზეციდან იყო კურთხეული, რადგან სამშენებლო მოედანზე სერიოზული ავარიები არ დაფიქსირებულა. თუმცა თავად მშენებლობის ხელმძღვანელი ეიტორ ლევი ადგილზე მუშაობისას კინაღამ დაიღუპა. იგი სამშენებლო ხარაჩოებიდან გადმოვარდა და ლამის უფსკრულში ჩავარდა. რიო დე უანიოროს არქიეპისკოპოსის ვებგვერდზე ვკითხულობთ: „მშენებლობის ადგილზე ხარაჩოების უსაფრთხო გამაგრებისათვის მყარი ნიადაგი არ არსებობდა, ვინაიდან მთის მწვერვალზე მდებარე მოედანი მხოლოდ 15 მეტრი დაიმეტრია; ეს საჭირო ფართობის ნახევარია, სამი მხრიდან კი ციცაბო კლდეებითაა შემოსაზღვრული“.

ინჟინერი ხარაჩოებს წამოედო და მუშებმა გადაარჩინეს. მომხდარის შესახებ იგი ასე იგონებს: „ყოველი მხრიდან უფსკრულით ვიყავით გარემოცული. ოდნავი დაუდევრობა, მასალების ოდნავი ვარდნა, ერთი არასწორი ნაბიჯი და, თუ ამ უფსკრულმი ჩავარდებოდი, გარდაუვალი იყო სიკვდილი. ბეწვზე გადავრჩი, მხოლოდ უზენაესის ნება იყო, ასე რომ მოხდა. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ჩვენ თვალწინ ქრისტეს ქანდაკებაა, ჩვენი ტანჯვისა და ლოცვების მისაღებად ხელებგამლილი“.

ლევი ებრაელი იყო, მაგრამ ამ ამბის შემდეგ კათოლიკედ მოექცა. მან თავისი ოჯახის წევრთა სახელებიც კი დაწერა გრავნილზე და რვასართულიანი სახლის სიმაღლეზე მდებარე ქრისტე მესნელის ქანდაკების გულში მოათავსა. სხვათა შორის, ეს ქანდაკება იესოს უწმიდესი გულის გამოსახულებას წარმოადგენს. სწორედ კორკოვადოს ბორცვის მწვერვალზე, სადაც მონუმენტია განთავსებული, 1931 წლის 12 ოქტომბერს, ქანდაკების საზეიმო გახსნასთან ერთად, შედგა ბრაზილიის მიძღვნა იესოს უწმიდესი გულისადმი.

ინჟინერის მოქცევა პირდაპირი მაგალითია იესოს დაპირებისა წმიდა მარგარიტა მარია ალაკოკისადმი: „მათი სახელები, ვინც გაავრცელებს ჩემი უწმიდესი გულის თაყვანისცემას, სამუდამოდ ჩაინერება ჩემს გულში“.

„ისწავლეთ სიკეთის ქმნა, ეძებეთ სამართალი“ (ის. 1, 17)



ეს გახლავთ ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირეულის (18-25 იანვარი) წლევანდელი თემა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მინესოტას ეკლესიათა საბჭოს მიერ მოწვეულმა მორწმუნეთა ჯგუფმა შეარჩია. წლების მანძილზე მინესოტას შტატი საშინელ რასობრივ დისკრიმინაციას განიცდიდა: მაგალითად, 1862 წელს ეს იყო აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დიდი მასობრივი სიკვდილით დასჯის ადგილი, როდესაც დაკოტას ოცდათვრამეტი მკვიდრი ინდიელი პატიმარი მანკატოში ჩამოახრჩეს შობის მომდევნო დღეს, აშშ-დაკოტას ომის შემდეგ. ახლახან, 2020 წლის მარტში, მინესოტა ახალი რასობრივი არყულობების ეპიცენტრი გახდა პოლიციის ოფიცირის, დერეკ შოვინის მიერ ახალგაზრდა აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის გამო. შეერთებულ შტატებში ფერადვანიანთა თემებისადმი სასტიკად მოპყრობის ფაქტებმა ხანგრძლივი დროით გამოიწვია თემებს შორის უთანასწორობა და უნდობლობა. შესაბამისად, ეკლესიის ისტორია შეერთებულ შტატებში მოიცავს რასობრივ საკითხებსაც, როგორც ეკლესიის გამყოფ მთავარ ფაქტორს. ამ მძიმე სოციალურ ფონზე, და ასევე სიტუაციის შესაცვლელად, შეირჩა წინამდებარე თემა და მომზადდა დამხმარე მასალა მედიტაციის, ლოცვების, კითხვის, გალობების, მოწმების თანხლებით. მორწმუნეთა ჯგუფი შედგებოდა მინესოტას სხვადასხვა თაობის სასულიერო პირებისაგან, საერო ლიდერებისგან, რომლებიც რასობრივ საკითხებზე მუშაობდნენ, ძირძველი და აფროამერიკელი თემების წარმომადგენლებისაგან, შეტაკებების ცენტრში რომ აღმოჩნდნენ. ამ განსხვავებულობამ მორწმუნებს მისცა ლრმად დაფიქრებისა და სოლიდარობის გამოხატვის საშუალება, რასაც სხვადასხვა პერსპექტივაც ამდიდრებდა. იგივე შეხვედრები, მასალისთვის ტექსტის დასადგენად, იქცა ერთგვარ საკარალურ და ლოცვის სივრცედ საპროტესტო აქციის მხარდასაჭერად აშშ-ის დედაქალაქში, სადაც ყოფილი ოფიცირის, დერეკ შოვინის სასამართლო პროცესი იმართებოდა და ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის წლისთვის აღნიშნავდნენ.

მიუხედავად ეკუმენური ურთიერთობების მუხტის მკვეთრად შემცირებისა, მრავალ საეკლესიო რეალობაში ათწლეულების მანძილზე გავრცელებული პრაქტიკის შემდეგ, მაინც აღინიშნა, რომ ქრისტიანულ ეკლესიებს

შეუძლიათ ერთობლივი ძალით უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს. ქრისტიანული ეკლესიები ცდილობენ, სხვაგვარად წაიკითხონ ის მონაკვეთებიც კი, რომლებშიც შესაბამისი გზები გაიყო, რათა გაიგონ მათში მოქმედი ფაქტორები. ისტორიული მეხსიერების გადახდვა, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის საქმეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, აღმოვაჩინოთ ახალი პერსპექტივები სახარების ქადაგების ფორმების ერთად განახლებისათვის. ამგვარად, ურთიერთსწავლების, ურთიერთმოსმენისა და ერთი უფლის დამოწმების სულისკვეთება სრულიად ცვლის იმ პოლემიკურ წინააღმდეგობას, რასაც ადგილი აქვს ისტორიაში. ფაქტორბრივად, დღეს ვერცერთი ეკლესია ვერ მიიჩნევს თავს თვითკმარად ქრისტიანული მისიის შესრულებაში. თითოეულ ეკლესიას სტირდება სხვისი დახმარება და საკუთარი იდენტობის დაცვა, განსხვავებებისა და თავისებურებების შენარჩუნება; საჭიროა სხვისი ტკივილის გაზიარება და, ასევე, სხვისი განსხვავებულების მიღება. მხოლოდ ამ გზით იპოვის სულინმიდა საშუალებას, იმოქმედოს ეკლესიის ისტორიაში.

მინებოტას შტატის ადგილობრივი ჯგუფის წევრები იმედოვნებენ, რომ რასიზმისა და ადამიანების დისკრიმინაციის მათი მძიმე გამოცდილება სხვებს დაეხმარება, დაამოწმონ ის არაადამიანურობა, რასაც ღვთის შვილები სწავლიან თავიანთ მოძმეთა მიმართ, ასევე, ღრმა სურვილი, აღმოფხვრან განხეთქილება, რაც ხელს უშლის იმ ჭეშმარიტების გაგებას, რომ ჩვენ, ყველანი, ქრისტეს ვეკუთვნით. ამიტომ მადლიერებით უნდა მივიღოთ მინესოტას მორწმუნე დებისა და ძმების ეს წინადადება. ამისთვის განვახლებათ ჩვენს ლოცვებს ამ განსაკურთრებულ დღეებში; 2023 წლის 20 იანვარს, 16.00 სთ-ზე შევიკრიბებით ეკუმენური ლოცვისთვის თბილისში, მარ შიმონ ბარ საბაეს ასირიულ-ქალდეურ კათოლიკურ ეკლესიაში (ალ. ყაზბეგის №34), საქართველოში მყოფ სხვა ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად. თუკი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჯერ კიდევ არ სურს ამ ლოცვაში მონაწილეობის მიღება, მით უფრო, უნდა გვჯეროდეს, რომ მაშინაც კი, როცა ჩვენი ეკლესიების გზები გაიყოთ, ლმერთი მაინც გამოძების ახალ გზებს, ვინაიდან მისი გზები მაღალია ჩვენს გზებზე და მისი ზრახვები - ჩვენს ზრახვებზე (მდრ. ეს. 55:9)



„ერისთავ სიყვარული აღძრავს სამყაროს შერიბებისა და ერთოანობისკენ“

2022 წლის 31 აგვისტოს მუშაობას ოფიციალურად შეუდგა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს XI გენერალური ასამბლეა. მქონდა პატივი, რომ მონაწილეობა მიმედონ გენერალურ ასამბლეაზე, რომლის თემა იყო „ქრისტეს სიყვარული აღძრავს სამყაროს შერიბებისა და ერთოანობისკენ“. აღნიშნული გლობალური ინტერესისტიანული ორგანიზაციის ასამბლეაზე წარვდექი, როგორც მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციის Steward. აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და უღრმესი მადლობა გადავუხადო მის ყოვლადუწმიდესობას მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს, რომელმაც ამარჩია, დამასახელა და საშუალება მომცა, მონაწილეობა მიმედონ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ამ ისტორიულ გენერალურ ასამბლეაში.

1948 წლიდან 2022 წლამდე ჯამში თერთმეტი გენერალური ასამბლეა ჩატარდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფარგლებში. XI გენერალური ასამბლეა გერმანიაში, ქალაქ კარლსრუეში გაიმართა (2022 წლის 31 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე). მქონდა ბედნიერება, რომ უშუალოდ პლენარულ და ბიზნეს სესიებზე და ცენტრალური კომიტეტის შეხვედრაზე მემუშავა, სადაც ყველა შეხვედრის მონაწილე ვიყავი. ამ ასამბლეაში მართლმადიდებელი ადგილობრივი ეკლესიებიდან მონაწილეობა მიიღეს: მსოფლიო საპატრიარქო; ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, მოსკოვის, სერბეთისა და რუმინეთის საპატრიარქოებმა; კვიპროსის, საბერძნეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიებმა; უკრაინის (ავტოკეფალური და რუსული) ეკლესიამ; ამერიკის ეკლესიამ და ფინეთის ავტონომიურმა ეკლესიამ. მონაწილეობა არ მიიღეს საქართველოსა და ბულგარეთის საპატრიარქოებმა, რადგან 1997-1998 წლებში გარკვეული მიზეზების გამო მათ დატოვეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო.

ზემოთ აღნიშნული თემის ირგვლივ მრავალი პლენარული და ბიზნეს სესია ჩატარდა, წარიმართა სხვადასხვა ეკუმენური დიალოგები და შესაბამისი დოკუმენტებიც მიიღეს. ასამბლეამ ახალი პრეზიდენტი, ცენტრალური და აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია. გენერალური ანსამბლეის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლებს, რაც ჯამში 4500-ს შეადგენდა, საშუალება ჰქონდათ, ერთმანეთი უკეთ გაეცნოთ და სამომავლო თანამშრომლობაზე ესაუბრათ. რომის ეკლესიებიდან დამკვირვებლის სტატუსით კარდინალი კურტ კოხი და მისი თანაშემწებები ესწრებოდნენ. შეგასესენებთ, რომ მიუხედავად რომის ეკლესიის ეკუმენური გახსნილობისა, ის არ არის

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი, მაგრამ აქტიურად არის ჩართული ეკუმენურ აქტივობებში, მსოფლიოში ქრისტიანთა შორის ერთობის აღდგენის საკითხებში.

ქრისტიანთა გაყოფილან ერთობის ძიებამდე

ქრისტეს ეკლესიაში პირველივე საუკუნეებიდან დაიწყო ქრისტიანებს შორის დაპირისპირებები და გაყოფები. ხშირად ეს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა. მაგალითად, აღმოსავლეთ და დასავლეთ ეკლესიებს შორის, მიუხედავად მსოფლიო კრებებზე მიღწეული შეთანხმებებისა და საერთო დოგმატური სწავლებისა, პოლიტიკური ვითარება ცვლიდა არსებულ რეალობას და საბოლოოდ მართლმადიდებელ და რომის კათოლიკე ეკლესიას შორის გაუცხოება წარმოიშვა. უნდა ვალიაროთ, რომ არცერთი მხრიდან არ იყო რეალური მონდომება, რომ პრობლემები და განსხვავებების საკითხები გადაეჭრათ, პოლიტიკური ვითარების იგნორირება მოეხდინათ და ერთობა არ დარღვეულიყო. სამწუხაროდ, რამდენიმე წლიანი დაპირისპირება მრავალსაუკუნოვან დაპირისპირებად ჩამოყალიბდა. კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიათა დაპირისპირების შემდეგ, რამაც საბოლოო განხეთქილება და ევქარისტიული ერთობის განყვეტა გამოიწვია, XVI საუკუნეში რომის კათედრას კიდევ უფრო დიდი ზიანი მიადგა დიდი რეფორმაციული მოძრაობით, რომელმაც დასავლეთის ქრისტიანების კიდევ უფრო მეტად დაყოფა და გაუცხოება გამოიწვია. ამ გაუცხოებას დაემატა დოგმატური სწავლებების განსხვავებულად გადმოცემა და, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ დიდი უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა მთელი ქრისტიანული სამყარო.

XIX-XX საუკუნეებში ქრისტიანებმა ერთობლივად დაეწყოთ განცვეტილი კავშირების აღგენისათვის ზრუნვა, რისთვისაც ერთ საერთო მაგიდასთან დასხდნენ. ამ მოძრაობამ დიდი მასშტაბი შეიძინა მას შემდგომ, რაც კონსტანტინეპოლის მსოფლიო საყდარმა 1902-1904 და 1920 წლებში ცონბილი ენციკლიკები გამოსცა, სადაც ქრისტიანებს ერთობისა და შერიგებისკენ მოუწოდა. თავდაპირველად რომის კათოლიკე ეკლესიამ უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა, მაგრამ ვატიკანის II კურბის შემდგომ ეს პოზიცია შეიცვალა. 1948 წელს ამსტერდამში იფიციალურად დაარსდა მსოფლიო გლობალური ეკუმენური ორგანიზაცია „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“, რომლის შექმნის მიზეზი (ტორონტოს 1950 წლის დეკლარაციის თანახმად) არა ეკლესიების გაერთიანება, არამედ მათი ერთმანეთთან ცოცხალ და რეალურ კავშირში ჩაბმა იყო.

საქართველოს ეკლესია და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო

1962 წელს უნიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესის განვირიანებაზე ოფიციალური განაცხადი შეიტანა და 1963 წლიდან საქართველოს საპატრიარქო ოფიციალურად განვირიანდა ამ ინტერჯენისტიანულ ორგანიზაციაში. საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლობამ, კათოლიკოს-პატრიარქების, ეფრემ მეორის, დავით მებუთისა და ილია მეორის მამამამთავრობათა პერიოდში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ოთხ გენერალურ ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა (უფსალა 1968, ნაირობი 1975, ვანკუვერი 1983 და კანბერა 1991). უნიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 1979-1983 წლებში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი გახდათ და აქტიურად მონაწილეობდა ეკუმენურ მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქ ილიას არ სურდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოსულიყო ეკუმენური მოძრაობიდან, 1997 წელს, საქართველოს ეკლესიას მოუწია ოფიციალურად დაეტოვებინა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და ევროპის ეკლესიათა კონფერენცია.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და უკრაინის ომი

მე-11 გენერალური ასამბლეის პირველ დღეს მისა-სალმებელი სიტყვა მისმა აღმატებულებამ გერმანიის პრეზიდენტმა Frank Walter Steinmeier-მა წარმოთქვა, სადაც მოსკოვის საპატრიარქო პირდაპირ დაადანაშაულა ომის გამართლებასა და ხელშეწყობაში. პრეზი-

დენტის ეს გამოსვლა დამსწრე საზოგადოების მხრიდან დადგებითად შეფასდა. ამის მიუხედავად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესის დელეგაციას დარბაზი არ დაუტოვებია და ბოლომდე უსმენდა გერმანელი პოლიტიკოსის კრიტიკას. მან ასევე განსაკუთრებული ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ ასამბლეას უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესის ოფიციალური დელეგაციაც ესწრებოდა. პრეზიდენტმა Steinmeier-მა აბსოლუტური მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას და სესიის დასასრულს, სანამ უკრაინელ წარმომადგენლებს პირდად შეხვდებოდა, ასამბლეის მონაწილეებმა მისი აღმატებულება მხურვალე აპლოდისმენტებით გააცილეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ავტოკეფალური ეკლესის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ასამბლეაში, სადაც ხსენებული ეკლესის ოფიციალურ წარმომადგენელს, მთავარეპისკოპოს ევსტრატის (ზორია) საშუალება მიეცა, პლენარულ სესიაზე პირადად ეუწყებინა მსოფლიოს ქრისტიანებისთვის, თუ რა ხდება რეალურად დღესდღეობით უკრაინაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ კონსენსუსით მიიღო, უკრაინის ომს შეეხებოდა. თავდაპირველად რუსეთის ეკლესიამ პროტესტი გამოიტვა აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, რის გამოც მისი ხელახალი რედაქტირება გახდა საჭირო. ბოლოს მოითხოვეს რუსეთის ეკლესის წარმომადგენლობა „მულტიკულტურულ“ დელეგაციად მოხსენიებულიყო, მაგრამ მსოფლიო საპატრიარქოს მოთხოვნით ეს არ დაკავშირდა. საბოლოო კენჭისყრაზე 350 ეკლესიიდან 349-მ უკრაინის ომის შესახებ დოკუმენტის მიღებას მხარი დაუჭირა, რუსეთის ეკლესიამ კი ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.





სიცოცხლის ზეიმო



**ვიზეიმოთ
სიცოცხლე!**

„შვილი ღვთისაგან ბოძებული მადლია. ის, ვინც სულგრძელად იღებს ახალ სიცოცხლეს, არა მხოლოდ დინებას ეწინააღმდეგება, არამედ რწმენის ძლიერ მოწმობას გასცემს, - ამ სიტყვებით მიმართა ერთ-ერთი საკურებულოს მოძლვარმა მშობლებს, რომლებმაც თავიანთი ქალიშვილი მოსანათლავად წარუდგენეს ღმერთს და თან ამ ფასდაუდებელი მადლისთვის მადლობას სწირავდნენ, - ძვირფასებო, ეს არსება მოულოდნელად მოვიდა და ჩვენი ღირსეული სტუმარია. ზოგჯერ ცოლქმარს აშინებს ახალი სიცოცხლის მიღება, მაგრამ თუკი რწმენა გვმართავს და გონებას გვინათებს, ყველაფერი ადვილად დასაძლევია. რწმენით გავახელთ თვალებს და ყველა ბავშვში დავინახავთ დიდ მადლს ღმერთისა, რომელიც გვთხოვს, რომ მის სიტყვად მივიღოთ ახალი სიცოცხლე. ამ პატარა გოგონას უნდა გაუფრთხოლდეთ, იგი უნდა ხარობდეს იმ ცხოვრებით, რომლის სიწმინდე თავად ღმერთს სწადია. თქვენ ხართ მისი მთავარი თანამშრომლები, თქვენ მიიღეთ ღმერთისგან ბოძებული ახალი სიცოცხლე და ახლა მასთან თანამშრომლობთ, რომ ეს სიცოცხლე გაზარდოს და გააძლიეროს“.

სამწუხაროდ, როდესაც სინდისი არაა მომწიფებული, დაბნეულობამ შეიძლება ადამიანები სიცოცხლის ჩახშობამდე მიიყვანოს. ამას ვგრძნობთ ბოლო ხანებში, როცა ვსაუბრობთ დედებთან, რომლებიც პრობლემის მოგვარებას აბორტის გზით ცდილობდნენ. ეს ოდიოზური არჩევანია, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც საკმაოდ ხშირია ჩვენს კულტურულ გარემოში, სადაც, მიუხედავად სოლიდა-

რობაზე ამდენი საუბრისა, მაინც გვხვდება უდანაშაულო სიცოცხლის მიზანმიმართული კვლის ფაქტები. ადამიანს ერთმევა ხელ-შეუხებელი ღირსება და იგი იქცევა ობიექტად, რაც სხვებს ათამამებს გადაწყვეტილების მიღებისას: იცოცხლოს თუ მოკვდეს. როგორ შეიძლება ლეგიტიმურად აქციო კანონი, რომელიც საშვილოსნოში ჩასახული ახალი სიცოცხლის მოკვდინების ნებას რთავს. ეს ყველაზე დიდი უგუნურებაა, რაც ადამიანმა მოიგონა, ღვთის თვალში არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე სიცოცხლის კვლა. სამწუხაროდ, იქმნება შთაპეჭდილება, რომ ჩვენ აბორტსაც შევეჩვიეთ. თითქოს საეკლესიო წრეებშიც განელდა რეაქცია ამ თემისადმი, თითქოს გვეშინია ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ სიცოცხლე ძვირფასი საჩუქარია; მას მეორებარისახოვან ვალდებულებებს შორის ვათავსებთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ როცა სიცოცხლეს განზრახ ვკლავთ, ბოროტება იმარჯვებს.

ვიზეიმოთ სიცოცხლე ყოველ დაბადების დღეზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც სიკვდილის მომხრეა. ამიტომ უფრო ნათლად უნდა აღვიქვათ პასუხისმგებლობა სიცოცხლის კულტურაზე და კონკრეტული ნაბიჯების დამოწმებასა და ხელშეწყობაზე, რაც სიცოცხლის მიღებას ურთელეს სიტუაციებშიც კი ეხმარება. ოჯახი, რომელიც სულგრძელად იღებს ახალ სიცოცხლეს, დღევანდელობაში წინააღმდეგობის ნიშანია. იმ კულტურაში, სადაც ბავშვის გაჩენა ხშირად ტვირთად მიაჩინიათ, მით უფრო, სამი ან მეტი შვილისა, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ შვილი ფასდაუდებელი მადლია. სიცოცხლისადმი ჩვენი მოვალეობა დაბადების წუთებიდანვეა. სიცოცხლის ზეიმით, ფაქტობრივად, სიცოცხლის ღმერთს ვზიომობთ, ანუ სიცოცხლის მომნიქებელ ღმერთს, რომლის ხელშიც ჩვენ მხოლოდ იარაღ ვართ.

მშობლებო, თუ თქვენ ღვთის საჩუქრად მიიღეთ სიცოცხლე, აიღეთ ვალდებულება, რომ ღვთის სახელით დაიცვათ იგი. ილოცეთ და სთხოვეთ უფალს, რომ შეძლოთ რწმენის დამოწმება და სახარების შუქზე შვილების აღზრდა, რაც მოამზადებს ბავშვებს ზიარების მადლის მისაღებად. მადლობა თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვისთვის „დიახ!“, რომელსაც წარმოთქვამთ როგორც მეუღლეები და როგორც მშობლები. ყველა თქვენგანის მფარველობას შევთხოვ მარიამს, სიცოცხლის დედას.

მოხალისეთა საერთაშორისო დღე

საქართველოს კარიტასმა 5 დეკემბერს მოხალისეთა საერთაშორისო დღე აღნიშნა. გვსურს, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მოხალისებს, გვერდით რომ გვიდგანან და მუდამ მზად არიან დასახმარებლად! მოხალისეთა საერთაშორისო დღეს საქართველოს კარიტასმა ყველაზე ერთგულ და მზრუნველ მოხალისეს, ლიანა ზამბახიძეს სპეციალური სერტიფიკატი გადასცა.

ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა ლიანამ შემდეგი განაცხადა: „კარიტასი“ კათოლიკე ეკლესიის მეწარმე და ფუძებული საქველმოქმედო ფონდია, რომელიც დახმარების ხელს უწვდის ყველაზე დაუცველ ადამიანებს. კარიტასი ხელმძღვანელობს სოლიდარობისა და ტოლერანტობის პრინციპით და ნებისმიერ ადამიანს უმსუბუქებს მძიმე ხვედრს, რადგან მას შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს სხვისი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის სურვილით დაინტერესებული ადამიანები.

ქალაქ ქუთაისში საქართველოს „კარიტასის“ მოხალისე ვარ დღიდან მისი დაარსებისა (1994 წ). იგი ჩემთვის საკუთარი ოჯახია, ადგილი, სადაც თავის მივიჩნევ საჭიროდ და ვახდენ ჩემი თავის მაქსიმალურ რეალიზებას. მყავს საოცარი გუნდი, რომელთან ერთადაც ვმონაწილეობ თითქმის ყველა პროექტში და ჩვენი მცირე წვლილი შეგვაქვს „კარიტასის“ დიდ საქმეებში. წვლილი შეგვაქვს მოხალისეობით, რომლის სივრცეც ნდობით, თავმდაბლობით, პატივისცემითა და თანასწორობითაა გაჯერებული. გავხდი უფრო მოტივირებული, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული და უფრო ძლიერი „კარიტასის“ გვერდში დგომით. პირველ რიგში, ჩემი სურვილია, რომ ადამიანებს ნაკლებად სჭირდებოდეთ დახმარება, თუმცა, სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში




სასიკეთოდ არ იცვლება მათი ბედი. მხედველობაში მაქვს ომები, ეკონომიკური კრიზისი, ეკოლოგიური კატასტროფები, პანდემიები და ა.შ. ამიტომაც „კარიტასი“ არ კარგავს თავის აქტუალობას. ჩემი სურვილია, იგი გაძლიერდეს კეთილი ადამიანების გვერდში დგომით, საჭიროებებზე გათვლილი ახალი დაგეგმარებით და მოხალისეობის პრინციპით, შეუფერხებლად მოხდეს ამ ბენეფიტის შეჭირვებულ მოსარგებლებით მიტანა.

მრავალი ბედნიერი, წარმატებული და გამართლებული წელი „კარიტასს“ და მის მოიმედე ადამიანებს!

მარიამ ეფრემაშვილი





ღამის ნობენი - „რატომ დავიბადე“

მე დავიბადე შიშველი, - ამბობს უფალი, - რათა შენ შეძლო, საკუთარ თავში იპოვო ძალა პირად სიკეთეზე უარის თქმისა.

მე დავიბადე ღარიბი, რათა შენს ერთადერთ სიმდიდრედ მიმიჩნიო.

მე დავიბადე ბოსელში, რათა ისწავლო ნებისმიერი ადგილის კურთხევა.

მე დავიბადე უძლური, რათა არასდროს გეშინოდეს ჩემი.

მე დავიბადე სიყვარულში, რათა არასდროს შეგეპაროს ეჭვი ჩემს სიყვარულში.

მე დავიბადე ადამიანის სახით, - ამბობს უფალი, - რათა არასდროს გრცხვენოდეს იყო ის, ვინც ხარ.

მე დავიბადე ადამიანად, რათა შენ შეძლო გახდე ღვთის შვილი.


მე დავიბადე იმთავითვე დევნილი, რათა შენ ისწავლო ცხოვრებისეულ სიძნელეთა ღირსეულად მიღება.

მე დავიბადე უბრალოებაში, რათა შენ იყო უბრალო და გულით მორჩილი.


მე დავიბადე შენს ცხოვრებაში, - ამბობს უფალი, - რათა, შენთან ერთად, ყოველი ადამიანი მივიყვანო მამის სახლში.

06 გორგაცია

Iner-Georgia-სა და საოჯახო პასტორალური კომისიის სახელით, „საბას“
სარედაქციო ჯგუფს და „საბას“ ძვირფას მკითხველებს ვულოცავთ შობა-
ახალწელს. მშვიდობამ და სიყვარულმა დაისადგუროს ყოველი ჩვენგანის გულში.



განსვენება
საუკუნო მიანიშვ
იათ, უფალო!



ნებარ კოსტანტინე
* 11. 09. 1949, ახალციხე
† 09. 12. 2022, თბილისი




ნარელი გორგალიშვილი
* 13. 11. 1946, ვალე
† 08. 12. 2022, ვალე



ვაკა ჩიტავალი
* 18. 04. 1963, ვალე
† 06. 12. 2022, ვალე



კონსალტინგ სანიკოვი
* 04. 09. 1966, ინდოეთი
† 08. 12. 2022, თბილისი



კათოლიკე

ეკლესია საქართველოში და
სულიან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
გირვევთ ბიბლიის კიორეულზე, რომელიც
გაიმართება წერთვანში, 2023 წლის 29 აგვისტის
4 თებერვლის დღე შეხვედრების თარიღი:

კათოლიკის ერიასი ღისება.

მოსსინებებს წარმოგეოდებუნენ საბაუნის პროფესიონები,
სასულიერო პირები და მოწვეველი სპეციალისტები.
კიორეულის ფარგლებში არის დაგეგმილი
სხვადასხვა ღონისძიებები და
აქტივობები.



რეგისტრაცია შესაძლებელია შითითებულ ლინკზე: <https://forms.gle/nKPlFxAufjQBlv7436>

რეგისტრაციის ბოლო ვადა 10 იანვარი.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

g.gobronidze@sabauni.edu.ge 599974300 - გიორგი გობრინიძე;
vaso.dogonadze@gmail.com 558168373 - ვასო დოგონაძე;
g.pataridze@sabauni.edu.ge 598370075 - გაგა პატარიძე;

სამართლებრივი კათოლიკური მათები
THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLIC CHURCH IN GEORGIA - SABA

საბა

ISSN 2720-8001

მთავარი რედაქტორი: გ. გაბრიელე ბრაგანჯიშვილი CSS

სარედაქტორი კრიტიკი: ნეგაზი ბართველიძე, კრისტინა ბონაძე, მორგან ბარუნაშვილი, მერაბ ლალაძე, გილიო ხალარიშვილი

ტექნიკური მსახურადები: მირა მიხეილ სურმავა, თამაზ სეგენაძე

მსამართი: გურიან ჭავჭავაძე, გიორგი გარებაშვილი; ქ. სამართლის ქ. №44 0106, თბილისი, საქართველო;

E-mail: saba.journal@gmail.com; რედაქტორის №1853, დარჩხა მანანი აზრითის მიერ 1995 წელს, მ. საბა